

ლუიზა ხაჭაპურიძე,  
ლელა ხაჭაპურიძე

"ვეფხისტყაოსანი", როგორც საღვთისმეტყველო პრემია  
გვიად გამსახურდიას "ვეფხისტყაოსნის  
სახისმეტყველების" მიხედვით

"ვეფხისტყაოსანი" ქართული ეთიკისა და ესთეტიკის ქვაკუთხედია.  
ეს წიგნი ქართველი ერის ბედისწერაა" – ზ. გამსახურდია

"დიდი ლიტერატურა ყოველთვის ორმა ურთიერთობაში იმყოფებოდა  
თავისი დროის მითოლოგიურ, რელიგიურ-ფილოსოფიურ, თუ მხატვრულ  
აზროვნებასთან და თავად იყო გამომხატველი ყოველივე ამისა" (ზ. გამსახურდია, 1991).

ანტიკური და შუასაუკუნეობრივი ლიტერატურის მკალევარნი  
თანამედროვე ეტაპზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მითოსისა და პოეზიის  
ურთიერთმიმართების დადგენას. მითოსს განიხილავდნენ, როგორც ნიადაგს.  
საიდნაც აღმოცენდა პოეზია, ვინაიდან მხატვრული აზროვნება კუპობრიბის  
განვითარების უადრეს ეტაპზე მითოსის ფორმით ვლინდებოდა, რასაც  
განაპირობებდა, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური ცნობიერება.

შუა საუკუნის შემოქმედი ითვალისწინებდნენ თავიანთი ეპოქის სხვადასხვა  
დონის მკითხველს და ამიტომაც შეგნებულად ქმნიდნენ ისეთ ნაწარმოებებს,  
რომელთა წაკითხვაც შეიძლებოდა სხვადასხვა თვალთახედვით და განსხვავებულ  
სიბრტყეზე. შემოქმედის გამარჯვებად ითვლებოდა ისეთი მხატვრული ძეგლის  
დაწერა, რომელსაც სხვადასხვა დონის მკითხველი თავისი დონის შესაბამისად  
სხვადასხვაგარად წაიკითხავდა. ყველა ტიპის მხატვრულ ქმნილებას, იქნებოდა  
ეს საერო თუ სასულიერო ხასიათის, აქვს სულ ცოტა ორი ასპექტი, ყოფითი  
- გარეგნული და შინაგანი - მითიური. სწორედ ამიტომაც, ამ პერიოდის  
სპარსულ ლიტერატურაში მიჯნური ქალი მოიაზრებოდა ლვთაებრივ ნეტარებად.  
მაგალითად: სპარსი პოეტი იბნ ელ არაბი წერდა: "ლვთის სახე ქალში  
გამოცხადებული ყველაზე მეტად სრულყოფილია". აქვე არ შეიძლება, არ  
გავიხსენოთ ბიბლიის თავი "ქებათა ქება სოლომონისა", სადაც ვკითხულობთ:  
"ასულო იერუსალიმისაო, მშვენიერი ხარ შენ, სატრფოვ ჩემო, ბაგენი შენი  
ძოწის ძაფია, შენი ლაწვები ბროწეულის ლებნები. გოლი მოსწვეთს შენს  
ბაგებს, ბალი ხარ დაბშული, სასურველო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდული"  
(ქებათა ქება, 4. 3-12). შდრ., კ. გამსახურდია "შენ ხარ ვენახი, მტილი  
დაბშული, წყარო დაბეჭდული ჩემი" (დავით აღმაშენებელი, 1991).

შუა საუკუნეების მკითხველისათვის, ალბათ, სავსებით გასაგები იყო  
იმდროინდელი ნაწარმოებები, მაგრამ თანამედროვე მკითხველისათვის, შეიძლება  
ითქვას, სრულიად გაუგებარი გახდა იგი, ამიტომაც "ჩევნ ვემსგავსებით იმ  
ჭერაც უშწიფარ ბავშვებს, რომელთაც კითხვა კი ხელეწიფებათ, მაგრამ  
წაკითხულიდან აზრის გაშოტანა უჭირთ" (ე. ჭაველიძე, 1991).

‘რუსთველოლოგებმა იმთავითვე მიაქციეს ყურალება იმ გარემოებას, რომ “ვეფხისტყოსანი” არის სიბრძნის წიგნი, რომელიც მეტყველებს ალეგორიულ ენაზე. რუსთველი, ისე როგორც ძველი და შუასაუკუნეობრივი მსოფლიოს პოეტები, ალეგორიული ენით გვესაუბრება ჭეშმარიტებაზე.

‘პირველი რუსთველოლოგი, რომელმაც აღიარა “ვეფხისტყაოსნის” ალეგორიულობა ვახტანგ მერქვეს იყო. თავის “თარგმანში”, რომელიც მან პოემის ტექსტს დაურთო, დაბეჭითებით წერდა: რუსთველი “ქრისტიანი იყო”, იხსენიებდა მას “ქრისტიან ფილასოფოსად”, იმოწმებდა შის ბიბლიურ წყაროებს (პ. შანიძე, 1937, გვ. 285-287, 296-297, 299, 315...).

რუსთველის პოემის ალეგორიულობის იდეას იცავდა დ. გურამიშვილიც. იგი, როგორც შუა საუკუნეთა სიმბოლურ სახისმეტყველებაში ღრმად ჩახედული პოეტი, „დავითიანში“ რუსთველის პოემის შესახებ წერს:

“ოდესაც ბრძენმან რიტორმან, შოთამ რგო იგავთ ხეო და,

ფესვ ღრმა-ჰყო, შტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა,

ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირჩეოდა,

ლექსი რუსთვლისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და“ (დავითიანი, 4, თბ., <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe>).

პოეზიის საღოთო, ალეგორიულ განმარტებაზე მიუთითებს დ. გურამიშვილის შემდეგი სტრიქონებიც:

“აშხალეო ბაღვო, თვალთა მიეც ანდეო,

სუნ ამ ლექსთა იგავი,

თარგმნე თუ გიყვარდეო,

ქრისტის პური ქერშია, შივ თავთუხი ჩავდეო,

ქერქი გაფცევენ, განაგდე, შიგნით გულს კი სჭამდეო“ (დავითიანი, 373).

დიდი რუსთველოლოგის — თეომურაზ ბაგრატიონის სიტყვით, “ვეფხისტყაოსნის” ავტორი “ქრისტიანი იყო საქრისტიანოს ქვეყნისა”, მას საღმრთო წერილიც კარგა პსკოდნია და ღმრთისმეტყველებაცა”. მათ შემდეგ არაერთი ავტორი მიიჩნევდა რუსთველს ქრისტიანად, ხოლო “ვეფხისტყაოსანს” ქრისტიანული კულტურის ძეგლად. არცთუ იშვიათად პოემის ბიბლიურ წყაროებსაც ასახელებდნენ (პ. იოსელიანი, მ. ჯანაშვილი, ი. აბულაძე და სხვ.), მაგრამ მრავალნებით, როდესაც ქართველი პოეტი სწვალასხვა რელიგიის აღმსარებლად გამოაცხადეს, მეტი ყურადღება მიექცა იმ ბიბლიურ ნაკადს, რომელიც “ვეფხისტყაოსნში” ძალზე შესამჩნევია.

პ. კეკელიძე 1924 წელს (“ქართული ლიტერატურის ისტორიის” მეორე ტომის პირველ გამოცემაში), გაილაშქრა რუსთველის მაპმაღიანად აღიარების წინააღმდეგ. მისი დასკვნით, “მიუხედავად იმისა, რომ პოემაში გამოხატულია მაპმაღიანური მსოფლიო, აქ თავს იჩენს წმინდა ქრისტიანული ელემენტები, რაც უფორის ქრისტიანობის მაჩვენებელია. ავტორმა ზედმიწევნით იცის საღმრთო წერილი...”; მომდევნო წლებში მკვლევარმა კიდევ უფრო განვითარა თვაისი თვალსაზრისი, საგანგებოდ შეისწავლა რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხები, კრიტიკულად გააანალიზა რუსთველოლოგთა ნააზრევი, კატეგორიულად უარყო “ვეფხისტყაოსნის” ავტორის მაპმაღიანობა, დამაჯერებლად დაადასტურა მისი ქრისტიანობა, დამატებით გამოავლინა პოემის ბიბლიური წყაროები (პ. კეკელიძე, 1924, გვ. 103-105; 1958, გვ. 180-205.)

ს. ოორდანიშვილი თავის ნაშრომში "ქრისტიანული რწმენის კვალის ძიება "ვეფხისტყაოსანში" ამბობს: "ზევრია "ვეფხისტყაოსანში" ისეთი ადგილები, რომელიც მოწმობენ შოთაზე საღმრთო წერილის ღრმა გავლენას. იმის გარდა, რომ ბევრავანაა მოციქულთა აზრები გატარებული, შიგადაშიგ მთელი წინადაღებებიც კი გვხვდება სამღვთო წერილიდან ამოღებული" (ს. ოორდანიშვილი, 1990).

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კ. ცინცაძის მტკიცებით, "ვეფხისტყაოსნის" გმირები ხელმძღვანელობდნენ ქრისტიანული დებულებებით, რუსთველი იზიარებდა მათ ქრისტიანულ იდეებს, თხზულება დავალებულია ქრისტიანული მოძღვრებით, კერძოდ, საღვთო წერილით.

რუსთველის ქრისტიანული მსოფლმხედველობის წარმოსაჩენად და დასადასტურებლად კ. ცინცაძემ თავის წიგნში "შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი)" პოემის ცალკე სტროფები და სტრიქონები შეუდარა ქრისტიანული სწავლის პირველწყაროს — საღვთო წერილს და ბოლოს განაცხადა: "ქარა! თითქმის, ყველა სტრიფი მაჩვენებელია ავტორის ქრისტიანობისა და მისი მსოფლმხედველობაც ქრისტიანულია!" (კ. ცინცაძე, 1966).

ვ. ნოზაძემ სპეციალურ მონოგრაფიაში ("ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება") ამოწერა და განმარტა ბიბლიური სახელები, რომელთაც "ვეფხისტყაოსანში" ვხვდებით. ხშირად რუსთველის გამონათქვამების კ. კეკელიძისეულ პარალელებს ვ. ნოზაძე ცვლიდა, სხვა პარალელებს უძებნიდა. მან განავითარა, ახალი მასალების მოხმობით ვაღრმავა და განმტკიცა კ. კეკელიძის მიერ აღრევე გამოთქმული მოსაზრებანი "ვეფხისტყაოსანში" გამოხატული ქრისტიანული აღმსარებლობის თაობაზე" (ვ. ნოზაძე, 1963); სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც ითქვა, რომ ვ. ნოზაძე "ერთგვარად აზიადებს "ვეფხისტყაოსნის" თეოლოგიურ მხარეებს. მისი ნააზრევით რუსთველი გამოიყურება მართლმადიდებლური ქრისტოლოგის ორთოდოქს-დოგმატიკოსად" (ა. ბარამიძე, 1988, გ. იმედაშვილი, 1989).

"ვეფხისტყაოსნის" ებრაულ ენაზე თარგმნისას პოემის ბიბლიურ წყაროებზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მთარგმნელმა ბ. გაბონოვმა, რომელმაც ერთხელ კიდევ დაადასტურა საღმრთო წერილის ცხოველმყოფელი გავლენა ქართული თხზულებაზე. მან ქართულ ტექსტში შენიშნა და აღრიცხა ბიბლიური ასოციაციის გამომწვევი მრავალი აღვილი — ზოგი ზედაპირზეა და აღვილად იძენება (ციტატა, პარაფრაზი, კონტამინაცია და სხვ.), ზოგი სილრმისეულია და ბიბლიურ სიუჟეტს ემყარება (ბ. გაბონოვი, 1979).

ზ. გამსახურდიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არა მხოლოდ დაადასტურა "ვეფხისტყაოსნის" ღვთისმეტყველება. არამედ სარწმუნო ჰყო მისი ავტორის მართლმადიდებელ ქრისტიანული მსოფლმხედველობა.<sup>1</sup> ნაშრომში შევეცდებით ზ. გამსახურდიას მოსაზრება ჩვენეული მაგალითებითაც განვამტკიცოთ.

"ვეფხისტყაოსნის" გარეგნული (ყოფითი) მხარე ასეთია: ახალგაზრდა რაინდს, ტარიელს ქაჯეთის წარმომადგენლები წარსტაცებენ ულამაზეს სატრონს,

<sup>1</sup> თავის დროზე ვ. ნოზაძესაც ჰქონდა მცდელობა რუსთველის მართლმადიდებელ ქრისტიანად წარმოქმნისა.

ნესტანს; ვაუი დიდი ხნის ძებნის შემდეგ, მეგობრების დახმარებით, ილაშქრებს ქაჯეთზე და იბრუნებს მიწნურს. შინაგანი, ალევორიული კი — ასეთი: ტარიელი — სიყვარული — შავი მაგის (ქაჯეთის) ჩარევით კარგავს საღვთო სიბრძნეს, მადლს — ნესტანს, რომელსაც მხოლოდ იმედისა და რწმენის — (ფრიდონისა და ავთანდილის) მეშვეობით იბრუნებს.

ამეამად უურადლებას გავამაზვილებთ ზ. გამსახურდისას ნაშრომის იმ თავზე, საღაც გახსნილია „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახეების სიმბოლიკა. ნაწარმოების პერსონაჟები ამა თუ იმ იდეათა და კატეგორიათა ერთგვარ კოდირებულ სახე-სიმბოლიკებს წარმოადგენს, რომელთა სწორი წაკითხვაც დიდად დაგვეხმარება ნაწარმოების დედააზრის გაგებაში.

ნაშრომში დამაჯერებლადაა გააზებული ავთანდილი — სარწმუნოების სიმბოლოდ, ფრიდონი — სასოების, ტარიელი — სიყვარულის, თონათინი — გონების, ნესტანი — საღვთო სიბრძნის, დავარი — შავი მაგის და სხვა...

განვიხილავთ მხოლოდ პოემის სამ რაინდს — ავთანდილს, ტარიელსა და ფრიდონს, როგორც ღვთის შემეცნებისათვის აუცილებლ სამ პირობას და დავარს, როგორც შავი მაგის, ბნელეთის ძალის მოცეულს.

მეცნიერი უურადლებას ამავილებს ტარიელზე, როგორც ვეფხისტყაოსნიან რაინდზე, იგი მიუთითებს, რომ, ერთი შხრივ, ვეფხის ტყავით შემოსვა ჰაგიოგრაფიაში ქრისტეშემოსილს ნიშნავს. ვეფხის ტყავი ემოსა ბიბლიურ ძოსებს, რომელიც წინა სახე იყო მაცხოვრის, მესისი. ტარიელისათვის ვეფხი ნესტანის სახა. სწორედ, ნესტანი მოიაზრება, როგორც საღვთო სიბრძნე, მადლი, ღვთაება, მზე. გმირს ტყავი ნესტანის სიყვარულით შეუმოსავს. ე.ი. იგია ღვთის მადლი, რომელიც განაშორეს ტარიელს.

მეორე მხრივ, კი, ტარიელის ბრძოლა ლომ-ვეფხვთან წინა სახეა მისი ბრძოლისა დრაკონთან, ქაჯეთთან, ბნელეთთან: “ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა”.

ტარიელი სიმბოლო საქართველოსი, მართლმადიდებელი ეკლესიისა, ლომ-ვეფხვზე ანუ პოლიტიკურ ისლამზე გამარჯვებულისა.

ტარიელი პოემაში ზოგჯერ მზედ ასოცირდება, ისევე როგორც ნესტანი.<sup>2</sup> გავიხსენოთ მისივე სიტყვები:

“შესა მე კვიბლი შეებებით, ვით ბინდუს უაში დილისა,

იტყოდეს ჩემი მნახავნი: “შეგვსია ედემ ზრდილისა”,

აწ მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა”.

იგი არის “სახე მზისა ერთისა”, ე.ი. უფლისა. სახელის ფუძე “ტარ” სანსკრიტულად ნიშნავს „მაცხოვარს“. ჰინდურ ენაზე — მზეს, ბუდიზმში — „შხსნელს“. ნაწარმოებში ტარიელის მიმართ გამოიყენება ეპითეტები: “სამყაროს მზე”, “ერთი მზე”, “ზენა მზე”. მოვიყვანთ ციტატებს პოემიდან:

“მბსმან შუქმან განანათლა სამყარო და ხმელთა კიდე” (109).

(აქ იგი სულიერ მზეს უკავშირდება),

“ავთანდილ უთხრა: ვით მაქებ საქები ბრძენთა ენისა...”

<sup>2</sup> ნესტანი საღვთო სიბრძნეა ნაწარმოებში, ხოლო ტარიელი მისი მაძიებელი, აქ შეიძლება გავახსენდეს წინამსარმეებული მოსე. რომელმაც სთხოვა ლმერთს ჩვენებოდა, ლმერთი მას თრი კლდის იქეთ გამოეცხადა, რათა არ დაიწერა, მაგრამ მასზე გადმოსული ღვთის მაღლიო შეს ისე ახაოებდა, როგორც მზე.

სახე ზარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა” (297).

ფრიდონი მიმართავს ტარიელს: “შენთვის ასრე მომსურდების წყაროსათვის ვით იჩემსა” (1656).

აღნიშნავთ, რომ ეს მეტაფორა ბიბლიიდან მომდინარეობს. დავით წინასწარმეტყველი თავის ფსალტუნებში ასე უგალობს უფალს: “ვითარუა სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრეთვე სურის სულსა ჩემსა შენდამი ღმერთო!” (ფს. 61); აქ წყარო ღვთის ალეგორია.<sup>3</sup> გამომდინარე აქედან, ტარიელი არის ღვთის შემეცნების ერთ-ერთი აუცილებელი და უმთავრესი პირობა — სიყვარული. წმ. მამათა განმარტებით: “ზოლოს, როცა სული განეშორება სხეულს, ქრება ჩრდენა და იმედი, რჩება მხოლოდ სიყვარული. იოანე ღვთისმეტყველი ღვთის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა, როგორც მისი უახლოესი სულიერი მეგობარი. ღვთისმეტყველებაში იოანე არის სიყვარულის აღეგორია და ამიტომაც უფლის ფერისცვალების დროს, როცა ყველა მოციქულს ჩაეძინა, მხოლოდ ის ფხნილობდა.

ტარიელი არის ის, რაც მთავარია ნესტანის (ანუ საღვთო მადლის, სიბრძნის) შესაცნობად. ხოლო ნესტანთან მისასვლელად მხოლოდ სიყვარული არაა საკმარისი, საჭიროა, იმედი და ჩრდენა. გავახსენოთ სახარებისეული იგავი. უფალმა მკვდარი გოგონას გასაცოცხლებლად მასთან ოთახში შეიყვანა მხოლოდ პეტრე, იაკობი და იოანე ანუ ჩრდენა, იმედი და სიყვარული. თვად მას შეეძლო მისი აღდგენა როგორც ღმერთს, მაგრამ ადამიანთა გონებას რომ უკეთ შეემეცნებინა ღვთის სიბრძნე, საჭირო იყო ამჭვევნად მათ ჰქონოდათ ჩრდენა, იმედი და სიყვარული. მაგრამ აქედან, როგორც აღვნიშნეთ, მთავარია სიყვარული, რადგან იგი უმთავრესია პოემაში, მისი სიმბოლო ტარიელია, ამიტომაც ეწოდება ნაწარმოებს მისი სახელი.

ნურადინ ფრიდონი პოემაში სასორას, იმედს გამოხატავს. ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ტარიელს პირველად იგი აძლევს იმედს, რომ ნესტანი ცოცხალია და მისი პოვნა შეიძლება. ნურ-ადდინი. აბულაძისეული ეტიმოლოგით, ნიშნავს წარწმუნოების ნათელს, ხოლო მისი სამკვიდრებელი მულდანზარი — ფრინველთა ქვეყანას, რაც სოფისტურ სიმბოლიკაში სულიერ სამყაროს, სულიერ პლანს განასახიერებს.

ფრიდონის, როგორც სარწმუნოების ნათელის, იმედის პერსონიფიკაცია, საუკეთესოდ ჩანს სიტყვებში, რომლითაც იგი ანუგეშებს ტარიელს:

“კვლაცა მითხრა: “ვისცა ღმერთი საროს მორჩისა ტანაც უხებს,

მას ლაპხარსა მოაშორვებს, თუცა პირველ გულსა უხებს,

იგი მოგვცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვიქცებს,

ჭირსა ლენინაც შეგვიცვალებს, არათ ოდეს შეგვაწუხებს” (639).

ასე რომ, იმედი — ფრიდონი ნუგეშისმცემელია, ფრიდონი პირველია, ვინც ნახავს ნასტანს და მოუთხრობს ამის შესახებ ტარიელს, ე.ი. მის გულში ჩასახავს იმედს.

დავუკვირდეთ ნურადინ ფრიდონის ამბავსაც. ფრიდონის წილი კუნძული ზღვაშია, რომლის გამო მას კონფლიქტი აქვს ბიძაშვილებთან. ტარიელი იპოვის

<sup>3</sup> შდრ., აგრეთვე, გალაკტიონის ცნობილი ლექსი — “თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა”.

მას დაჭვრილს და დაუმეგობრდება, შემდეგ კი ორივენი ნავით გადიან ზოვაში და დაამარცხებენ მტერს ჯერ ზღვაზე, შემდეგ კუნძულზე.

კუნძული და ნავი საყოველთაოდ ცნობილი სიმბოლოებია. ინიციაციის გზა ალეგორიულად წარმოისახება, როგორც კუნძულისკენ ნაოსნობა, ომი კუნძულისათვის ზღვაზე ნებატიურ ძალებთან ბრძოლას განასახიერებს სულიერი პლანის მისალწევად და დასაუფლებლად. ხოლო ის ფაქტი, რომ ეს ძალები სისხლისმიერი ნათესავებით არიან სიმბოლიზირებულნი, კიდევ ერთხელ მიგვითითებს საღვთო გზაზე აღამიანის სისხლისმიერი კავშირებისაგან გასათავისუფლებლად.

იგივე აზრია გატარებული წმინდა მამათა განმარტებით ლუკას სახარების იმ თავში, საღაც უფალი ეუბნება ერთ კაცს: “გამომყევი”, მან კი მიუვო: “წება მომეცი, დავმარხო მამაჩემი, შემდეგ მოვალ და წამოგყვები”, რაზეც იქსო ქრისტემ უპასუხა: “მიეცი ნება მკვდრებს დამარხონ საკუთარი მკვდრები, შენ კი წადი და ღვთის სასუფლევლი იქადაგი”. ერთმა სხვამაც უთხრა: “შე გამოგყვები, უფალო, მაგრამ ნება მიბოძე, ჯერ მივიდე და ჩემიანებს გამოვეთხოვო”, მაგრამ მაცხოვარმა უთხრა მას: არც ერთი კაცი, ვისაც ხელი უდევს სახნისზე და უკან კი იყურება, არ ივარებს ღმრთის სასუფლევლისთვის” (ლუკა 9:56,62).<sup>4</sup>

რაც შეეხება ავთანდილს, იგი პოემაში სარწმუნოების სიმბოლოა. არაბულად სახელი “ვატანუდინ” ნიშანავს “სარწმუნოებას”, სამშობლოს, კერას. სახელი “ვათანდილ” მოხსენებულია ხანის წმ. გიორგის ეკლესიის ნუსხაში: “ზენ მუსხელის შეილმა ვათანდილ მოვაჭედვინეთ და შევამკევინეთ ჯვრი ესე”).

ნაწარმოებში იგი განასახიერებს ფილოსოფიურ რწმენას, სარწმუნოებას. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ტარიელს მან დაუბრუნა რწმენა, რათა კვლავ ჰეპოლს გზა ღვთაებრივისაკენ, ნესტანისაკენ და რწმენამ, სიყვარულმა და იმედმა მართლაც გამოიხსნა ნათელი ბნელისაგან.

“ვეფხისტყაოსანში” ღიდი აღგილი უჭირავს “ქაჯეთის ციხეს”, შავ მაგიათა, ბნელ, ბოროტ ძალთა საუფლოს და შავი მაგიის აღეპტს — დავარს, ქაჯეთში გათხოვილს. პოემაში არის მინიშნებები იმაზეც, რომ ფარსადანის კარზე საიდუმლოდ მოქმედებდნენ ქაჯეთის ემისრები, შავი მაგები, რომელთა მიზანიც ინდოეთის დამხობა და ნესტანის გატაცებაა. ისინი “ღვონი; მტრებალ” არიან მოხსენიებულნი ნაწარმოებში:

“დავარს, დასა მეფისასა, უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან”.

მართალია, ტექსტში პირდაპირ ამაზე საუბარი არ არის, მაგრამ მსგავსი მინიშნებების საფუძველზე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ხეარაზმშას ძის სასიძოდ შოწვევა დავარისა და ამ “ღვონის მტრების” იდუმალი შეთქმულების შედეგია, რომელთაც შეძლეს გავლენის მოხდენა მეფეზე.

ტარიელი — ინიციაცია (შთაგონება, შემეცნება) — იბრძვის ნესტანის (საღვთო სიბრძნის) დასახსნელად, კლავს სასიძოს, მაგრამ ქაჯეთი, შავი მაგიის (დავარის) მეშვეობით მაინც ახერხებს ნესტანის მოტაცებას ზღვით (ქვენა ინსტიქტების, გრძნობების სიმბოლო), შავი მონების ხელით (ზანგი — სიმბოლურად ქვენაყოფი, სიბნელის შვილი).

<sup>4</sup> შეიძლება გავიძსენოთ ბერად აღკითხვის რიტუალის სიტყვებიც “ნუ ვინ ვიყვარიან”.

დაგარის თვითმკვლელობა მიუთითებს იმაზე, რომ შავი მაგია შეიცავს თვითგნადგურების ძალებს, იგი ადამიანის მე-ს წინააღმდეგაა მიმართული, სპობს მას. ამ თვითმკვლელობის პროცესირებით ქაჯეთის ემისრები ახორციელებენ თავიანთ გეგმას ნესტანის მოტაცებას, ფარსმანის სიკვდილსა და ინდოეთის დამხობას.

წმინდა მამათა განმარტების მიხედვით, საღმრთო სიბრძნის მოტაცებას და მის დამალვას ხალხისაგან ისახავს მიზნად ბნელ ძალთა კრება და მათი შოლოქისტთა სანუკვარი მეფე ანუ “ვარსკვლავი რემფანა”.

ა. როგორ განმარტავს მას ითანე იქროპირზე დაყრდნობით ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი: “აღმართეს კარავი ანუ სკინია, დადგეს მას შინა კერპი და უწოდეს სახელად მოლოქ, ხოლო სიტყუაი იგი “შოლოქ” ითარგმნების, ვითარცა “შეფერი მათი”, ხოლო ვითარ იყო მეფეი იგი ვარსკვლავი მათი რემფანისა? რომელი ითარგმნების ვითარცა დახშობა თვალთაი” ანუ “სიმბრამავე ფრიიადი” ასერიგად თაყვანს სცენდნენ მას, მზისა სხივთა გმოჩენამდე” (ლაზარეს აღდგინება, 1994).

გავიხსენოთ, რომ “ვეფხისტყაოსანში” ქაჯეთი ბინდთან, ბნელთან არის ასოცირებული:

“რა ქაჯეთის შეხდა ქმნილ იყო ოდენ ბინდ-ბანდი ბნელისა” .

ან “მათ ლომთა ნახეს ქალაქი, მთვარე და მუნ ნათელია”.

ე.ი. ქაჯეთი ყოველთვის ღამის ასპექტშია დანახული. აქედან კი ცხადი ხდება, რომ იგი ბოებაში არის სიმბოლო ბნელის, ქვესკენელის, რომელსაც ბოლოს ამარცხებს რწმენა, იმედი და სიყვარული.

ასე განიხილავს მკვლევარი ზ. გამსახურდია “ვეფხისტყაოსნის” გმირთა სახეებს მისტიკურ ალეგორიებში.

### დამოწმებული ლიტერატურა

- ი. **აბულაძე, 1922** - ი. აბულაძე, მე-XII-ე საუკ. ქართული საერო მწერლობა და "უყუბის-ტყაუსანი", ტუ., 1922.
- თ. **ბაგრატიონი, 1960** - თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა "ვეფხისტყაოსნისა", გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960 .
- ა. **ბარამიძე, 1988** - ა. ბარამიძე, ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნააზრევილახ, "მაცნე" (ელს), 1988, 1 4.
- ბიბლია, **სტოკჰოლმი, 1989.**
- ბ. **გაპონოვი, 1979** - ბ. გაპონოვი, ბიბლიური მოტივები რუსთველის შემოქმედებაში, "მაცნე" (ელს), 1979, 1 2 (რუსულ ენაზე).
- კ. **გამსახურდია, 1991** - კ. გამსახურდია, დავით აღმაშენებელი, თბ., 1991.
- ჭ. **გამსახურდია, 1991** - ჭ. გამსახურდია, "ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბ., 1991.
- ა. **გაწერელია, 1977** - ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1977.
- ღ. **გურამიშვილი, 1987** - ღ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1987.
- გ. **იმედაშვილი, 1989** - გ. იმედაშვილი, "ვეფხისტყაოსნი" და ქველი ქართული მწერლობა, თბ., 1989.

- ს. ორბეგიძე, 1990 - ს. ორბეგიძე, ქრისტიანული რწმენის კალის  
ძიება "ვეფხისტყაოსანში", "მაცნე" (ელს), 1990.
- მ. თავდიშვილი, 1992 - მ. თავდიშვილი, ზოგი ბიბლიური მოტივი  
"ვეფხისტყაოსანში", "რელიგია", 1992, 1.
- კ. კეკელიძე, 1958 - კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, III,  
ტფ., 1924; ქართული ლიტერატურის ისტორია, II4, თბ., 1958.
- ურნ. ლაზარეს აღდგინება, №6, თბ., 1994.
- ლ. მენაბდე, 2000 - ლ. მენაბდე, რუსთველის აღმსარებლობისა და  
"ვეფხისტყაოსნის" ბიბლიური წყაროების შესწავლის ისტორიიდან, ურნ.  
რუსთველოლოგია, 1, თბ., 2000.
- ტ. მოსია, 1995 - ტ. მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995.
- ვ. ნოზაძე, 1963 - ვ. ნოზაძე, "ვეფხისტყაოსნის" ღმრთისმეტყველება, პარიზი,  
1963.
- რუსთველი შოთა, ვეფხის ტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712. წლისა,  
აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფ., 1937.
- ფსალმუნი მეფის დავითისა, თბ., 1990.
- კ. ცინცაძე, 1966 - კ. ცინცაძე, "შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური  
ძიებანი)", თბ., 1966.
- ე. ჭაველიძე, 1991 - ე. ჭაველიძე, ჩეცენზია წიგნზე ზ. გამსახურდის  
"ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება", გაზ. "ახალგაზრდა ივერიელი", 1991.
- <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d>.

## LUIZA KHACHAPURIDZE, LEILA KHACHAPURIDZE

### “THE MAN IN THE PANTHER’S SKIN” AS A THEOLOGICAL POEM ACCORDING TO ZVIAD GAMSAKHURDIA’S IMAGE LANGUAGE OF “THE MAN IN THE PANTHER’S SKIN”

In the modern times scholars studying ancient and medieval century literature consider it a great matter of importance to determine the relationship between mythos and poetry. Mythos is regarded as the soil that generates poetry, as the artistic thought at the eve of the human development was revealed in the form of mythos, which, above all, had been conditioned by religious consciousness.

Medieval centuries’ authors had to consider the different levels of preparedness of their readers that is why they quite intentionally created their works with several layers so that the works should have different readings for different audiences.

Rustvelologists immediately noticed that “The Man in the Panther’s Skin” is a book of wisdom that has allegoric language.

In his monograph *Image Language of “The Man in the Panther’s Skin”* “Zviad Gamsakhurdia speaks about Rustaveli’s Christian Orthodox worldview.

The present article discusses the very part of the research of Zviad Gamsakhurdia’s already referred book, which discloses the epic poem symbols of the images that describe the characters. The personages of the work present a kind of codified expression ideas and categories, the correct comprehension of which will help in understanding the essence of the poem.

Zviad Gamsakhurdia describes Avtandil as a symbol of the Faith, Pridon as a symbol of Hope, Tariel as a symbol of Love, Tinatin as a symbol of Mind, Nestan as a symbol of Divine Wisdom, Davar as a symbol of the Black Maggie representing the Powers of the Underworld Wisdom, etc.

This reading of the codified images helps to understand the essence of the story.